ქ. თბილისი სოფ დიღომი ცამეტი ასურელი მამის ქ 56
შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი  გ. ბეჭუაშვილი

თბილისი 2022 წელი

შემადგენლობა

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

თავდაპირველი შენობა N1 ბეტონის ბლოკის წყობითაა ნაშენი ზომით 10მX18მ, სახურავი დაფარულია აზბესტცემენტის შიფერით.

შენობის ხის კონსტრუქციების ცვეთის ხარისხი მაღალია; ამორტიზებულ იატაკს აღენიშნება მნიშვნელოვანი ვიბრაციები; დაზიანებულია ტიხრების და ჭერის მოლარტყვა და ბათქაში; სხვენის ხის კონსტრუქციის ნაწილი დამპალია; დაზიანებულია სახურავის ბურული; ამორტიზებულია შენობის კარ-ფანჯრები. შენობის აღდგენა მიზანშეუწონელია და ის ექვემდებარება დემონტაჟს.

თავდაპირველი შენობა N2 ბეტონის ბეტონის კონსტრუქიების (ღრუტანიანი გადახურვის ფილით) ნაშენი ზომით 12მX12მ,

ამორტიზებულ იატაკს აღენიშნება მნიშვნელოვანი ვიბრაციები;

შენობის აღდგენა მიზანშეუწონელია და ის ექვემდებარება დემონტაჟს.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

შენობის დემონტაჟის ხანგრძლივობა განს აზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 2 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა - 1 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

შენობების სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:
1)დროებითი აღნიშვნების მოწყობა გოსტ 23407-78-ის თანახმად კონტურსგარეთა სახიფათო ზონის საზღვარზე და სამშენებლო მოედნის შემოღობვა(პოტენციური სახიფათო ზონის საზღვარზე).
2)დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.

3)შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.

4)მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.

5)სახიფათო ზონების შემოღობვა; ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.

6) დროებითი სასაწყობო მოედნების მომზადება

ძირითად პერიოდში ხორციელდება შენობის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

Iეტაპი -სახურავის დემონტაჟი

IIეტაპი- I სართულის დემონტაჟი

IIIეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული ბლოკებით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

სადემონტაჟო სართულზე სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)კომუნიკაციების,იატაკების,შეკიდული ჭერების დემონტაჟი

ბ)ტიხრების,კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი

გ)მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი სართულზე სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)გადახურვის კონსტრუქციების (ხე) დემონტაჟი

ბ) მზიდი კედლების დემონტაჟი

გ) საძირკვლების დემონტაჟი

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“ .

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულზე პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ანაკრები კონსტრუქციები დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკების დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტურად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

ტიხრების,კარებების,ფანჯრების,სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით,ელემენტური დაშლით.

მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1)ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალის კედლების და ტიხრების დემონტაჟი

2)გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი მასალის კედლების და ტიხრების დემონტაჟი.

აკრძალულია კედლების და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით.

საძირკვლების მონგრევა ხორციელდება ხელით, სანგრევი პნევმატური ჩაქუჩების გამოყენებით.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 0,5მ^3. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები,დეტალები და კონსტრუქციები დასაწყობდება დროებით სასაწყობო მოედნებზე.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები (ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი; კედლების და ტიხრების გამსხვილებული ბლოკების დემონტაჟი;მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი;ვარგისი მასალების ჩამოღება;სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვ.) ხორციელდება საავტომობილო ამწის გამოყენებით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის განივი კონტურების გასწვრივ გარედან, მიბმით 4,0 მეტრზე (იხილეთ „სადემონტაჟო გენგეგმა)“.

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ,ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება სართულებიდან ხორციელდება დახურული ღარების მეშვეობით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები.

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 16ტნ. -1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0,5მ^3-1ცალი
3. მოძრავი კომპრესორი-1ცალი
4. ავტოთვითმცლელები-1ცალი
5. ბორტული ავტომანქანა-1ცალი
6. ავტოდამტვირთავი-1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-1კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-1ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-1ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-50მ^2

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით,ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონების საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან გარეთ შეადგენს 3,0მეტრს.

დროებითი შემოღობვის მოწყობის საკითხები დეტალურად გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედნის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან ადგილზე უშუალოდ სამუშაოთა დაწყების წინ.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

სკოლის შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სახიფათო ზონაში.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით ნაგავსაყრელზე. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

საქართველო

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა, №56-№54 1400კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ №01.72.14.056.089 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ს/ს	საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი
ა/ა	არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი
	ფარდული	ღობე	წყალგაყვანილობა
	მშენებარე შენობა	ქვის კედელი	კავშირგაბმულობა
	საწარმოს ჯიხური	კედელი	ელ. ქსელები
	ხეები გარე განათება	ფლატე	ბუნებრივი აირი
		რკინიგზა	სარდაფიანი ინფრასტრუქტურა
		სამეთვალყურეო ჭები	ინტერნეტ ქსელი
		ელ. გადამცემი ხაზი	

შენიშვნა:1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:		ზ. ბასილაძე
ახომა:		ნ. ოთხოზორია
დახაზა:		ნ. ოთხოზორია
დამკვეთი:		დალი მელიქიშვილი
მაშტაბი: 1:500		11.02.2021წ.

ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქ. 56; (01.72.14.056.089)

მაღაზია

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

განმარტებითი ბარათი

გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას დატვირთული და გატანილი. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. საჭირო მოცულობა უნდა იქნეს შემოტანილი. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამშენებლო საწევლას და ბეტონის ტუმბოების გამოყენებას, სამშენებლო საწევლა უნდა იყოს დაყენებული დამკვეთის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, სამშენებლო მასალების მიწოდება მოხდეს ქუჩის მხრიდან, ბეტონის ტუმბო განთავსდეს ქუჩის მხარეს საპროექტო ტერიტორიაზე. უსაფრთხო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული დროებითი ფარდულების მოწყობა გათვალისწინებულია ნაკვეთის უკანა მხარეს, ბეტონის ტუმბოს საშუალებით მოხდება რკ.ბეტონის კარკასის მოწყობა და შემდეგ საწევლას დახმარებით სამშენებლო მასალების მიწოდება სართულებზე.

უსაფრთხოების ტექნიკა:
ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცველებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან
სამუშაო ადგილები მუშაობის ჰირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებები
ჰიდროიზოლაციის სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთი სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურავებს.
მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური ჰირობათა გათვალისწინებით, ამავე დროს მასალა უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ არ მოხდეს მასალის დაცურება
შიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია, იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელ. ქსელიდან გამორთვის გარეშე
სამონტაჟო სამუშაოების დროს მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამუშაოჯერაციებში დაუსაქმებელ ჰირთა ყოფნა აკრძალულია
სამშენებლო ობიექტი ყოველდღიურად უნდა კონტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინრის სპეციალისტის მიერ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

მშენებლობის ხანგრძლივობა (27 თვე) და ეტაპები განისაზღვრა სამუშაოს მოცულობის და დამკვეთის შესაძლებლობების შესაბამისად და დაიყო ხუთ ეტაპად

I რიგი

I-დემონტაჟის ეტაპი. 90 დღე

II-ეტაპი მოსამზადებელი სამუშაოები, სამშენებლო მოედნის მოწესრიგება. 90 დღე

III-ეტაპი შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა ძირითადი ღერძების დაფიქსირება 60 დღე

II რიგი

IV-ეტაპი მიწის სამუშაოები, ფუძის სამუშაოები, საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სიტემის მოწყობა შენობის ნულლოვან ნიშნულამდე 180 დღე

V-ეტაპი შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, სახურავის და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალირი საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა 240 დღე

VI-ეტაპი გარე მოსაჰირკეთებელი სამუშაოები, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა 150 დღე

საპროექტო ობიექტის ფუნქცია

მაღაზია

მისამართი

ქ. თბილისი სოფ. დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქ.56 (საკ.კოდი 01.72.14.056.089)

ტექ. ეკ. მაჩვენებლები

მიწის ნაკვეთის ფართობი 1400 მ^2
განაშენიანების ფართობი 1554.5 მ^2
საერთო ფართობი 1253.9 მ^2

სამშენებლო მოცულობა 5300 მ^3
მათ. შორის
0.000 ნიშნულს ზევით 4900 მ^3
0.000 ნიშნულს ქვევით 400 მ^3

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 11.6 მ
მათ. შორის
0.000 ნიშნულს ზევით 10 მ
0.000 ნიშნულს ქვევით 1.6 მ

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

-ტერიტორიის გასუფთავება და შემოღობვა დროებითი საფარიანი ღობით

-დროებითო შენობების განთავსება

-სამშენებლო ნაგვის გატანა

-საპროექტო ქსელების გაყვანა

-სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან

მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №255 თანახმად

ТП-5 -ის ტექნიკური დახასიათება

1) ტვირთამწეობა -- 500 კგ.
2) აწევის სიმაღლე -- 70 მ
3) აწევის სიჩქარე --0.5 მ/წ

M-36 -ის ტექნიკური დახასიათება

1) აწევის სიმაღლე-- 35.7 მ.
2) შვერა -- 32 მ.
3) ჩაწევის სიღრმე --24.3 მ.
4) მობრუნების კუთხე -- 360 ^{0}
5) მანქანების ზომები -- 11X3.3X6.3 მ.

დამკვეთი	შ.პ.ს. "დიდი დიღმი პროექტი"		
მისამართი	ქ.თბილისი, სოფ.დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქ. 56		
პროექტის სახელი			
მაღაზია			

მასშტაბი	ნახაზის დასახელება	
	მშენებლობის ორგანიზების პროექტი განმარტებითი ბარათი	
სტადია	ფურცლის №	ფურცლები
მ.პ.	A.08.2	48

შემსრულებელი	გიორგი ბეჭუაშვილი	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
ინჟინერი	გ. ბეჭუაშვილი	



ექსპლიკაცია

1 საპროექტო ობიექტი
2 სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
3 დროებითი დახურული საწყობი
4 დროებითი საარმატურო
5 დროებითი საყალიბე
6 დროებითი ღია სასაწყობო მოედანი
7 დროებითი ღობე
8 დროებითი ჭიშკარი
9 დროებითი მექნიზმების განთავსების ადგილი
10 დროებითი გზა

დამკვეთი	შ.პ.ს. "დიდი დიღმი პროექტი"
მისამართი	ქ.თბილისი, სოფ.დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქ. 56
პროექტის სახელი	
მაღაზია	

მასშტაბი	ნახაზის დასახელება	
	მშენებლობის ორგანიზების პროექტი განმარტებითი ბარათი	
სტადია	ფურცლის №	ფურცლები
მ.პ.	A.08.2	48

შემსრულებელი	გიორგი ბექუაშვილი	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
ინჟინერი	გ. ბექუაშვილი	

ՊՄՄՀՀՑՏՀՑ	Յ.Ն.Ս. ՈՒԳՈՑՈ ՑՈՏՑՈՈ ՈՀՑՈՑՈ ՑՈՏՑՈՈ ՈՀՑՈՑՈ ՑՈՏՑՈՈ ՈՀՑ